



განხილულია ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
(ოქმი №02/18.01.2016)
დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის
ოქმი №1/2016 გადაწყვეტილებით
თჰუ რექტორის 2016 წლის 06.02. N17/07 ბრძანებით
მოდულიზირებულია:
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
(ოქმი № 06/12.02.2016)
დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 თებერვლის
ოქმი №2/2016 გადაწყვეტილებით
თჰუ რექტორის 2016 წლის 12.02 N18/01 ბრძანებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის დასახელება - ტურიზმი

მიმართულება: 11-მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები

დარგი/სპეციალობა - 1120 ტურიზმი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი - აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism

პროგრამის მოცულობა კრედიტებით ხანგრძლივობა - 240 კრედიტი, საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 21 კვირა, 1 სემესტრის მანძილზე 30 კრედიტი; პროგრამის საერთო ხანგრძლივობაა - 4 წელი, 8 სემესტრი.

სწავლების ენა - ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი- პროფესორი ნოდარ გრძელიშვილი (იხ. CV)

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

3. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტმა უნდა ჩააბროს: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები და ერთ-ერთი უცხოური ენა. არჩევითი საგნებიდან აბიტურიენტს შეუძლია ჩააბაროს კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი არჩევითი საგნები: ისტორია/გეოგრაფია/მათემატიკა/ხელოვნებათმცოდნეობა.

4. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესისა და სასწავლო უნივერსიტეტის გადმოყვანის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა შესაბამისად.

სფეროს აღწერა და პროგრამის აქტუალობა

ტურიზმი მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთი უმსხვილესი, მაღალშემოსავლიანი და დინამიურად განვითარებადი დარგია. მოაქვს რა ეკონომიკური სარგებელი და ზრდის რა დასაქმებას, ამავე დროს ტურიზმი არის არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის სახესხვაობა, არამედ მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანთა ურთიერთქმედებისა, რომელთაც სჭირდებათ მომსახურების ფართო სპექტრი. საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირება მსოფლიო თუ რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე, ეს კი წარმოუდგენელია ტურიზმის სფეროსათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების გარეშე.

პროგრამის მიზანი და შესაბამისობა მისიასთან

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

სტუდენტის მომზადება კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან სპეციალისტად ტურიზმის შრომით ბაზარზე;

მოამზადოს ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელსაც ექნება: ტურიზმის სფეროს ფართო ცოდნა, დარგობრივი უნარები; ეკოდინება ტურიზმის ცნებები, დეფინიციები და განმარტებები, ტურიზმის დარგობრივი სტრუქტურა, ფუნქციონირების მექანიზმები, გაერკვევა ტურისტული ფირმებისა და ტურიზმის ძირითად ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ფუნქციებში; პროგრამის მიზანია ასევე მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესების გაცნობიერებას, კრიტიკულ გააზრებას და ექნება ფართო ცოდნა ტურიზმის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში, ექნება პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები; განუვითარებს სტუდენტს ანალიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის უნარებს. ასევე პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულს მისცეს ფართო ცოდნა ბიზნესის არსისა და სისტემის, ბიზნესის გარემოს ფაქტორების, ბიზნესის სახეების, საწარმოთა მართვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების, ფირმების ეკონომიკური პოლიტიკის, ბიზნესის დაგეგმვის და ორგანიზების, სტრატეგიისა და ტაქტიკის, ბიზნესის დაწყების ფინანსური უზრუნველყოფის, ბიზნესის ეთიკის შესახებ. საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულიად მიღწევადია, შესაბამისობაშია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია წვლილი შეიტანოს პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში, მისი შემოქმედებითი და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში, უზრუნველყოს სტუდენტებში უმაღლესი განათლების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმირება და მის მიერ თანამედროვე ცოდნის შეძენა; უზრუნველყოს საქართველოს შიდაეროვნული შრომის ბაზარი, დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე ტურიზმის დარგის სპეციალისტებით. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა ყველა დაინტერესებული მხარე: ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე მოქმედი ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები.

სწავლის შედეგები

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში, რაც ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულს გააჩნია სათანადო თეორიული მომზადება და პრაქტიკული მზაობა ტურიზმის მიმართულებით.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის თანახმად. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

ტურიზმის მიმართულებით:

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტს აქვს ტურიზმის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიების, პრინციპების, დარგის განვითარების პრობლემებისა და პერსპექტივის ობიექტურ გააზრებას. აქვს ცოდნა ტურიზმის საფუძვლების, ტურისტული ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების; აქვს ცოდნა ტურისტული ორგანიზაციების ეროვნულ და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ. ფლობს ტურიზმისა სფეროს კომპლექსურ საკითხებს, ტურიზმის ტერმინოლოგიას, ტურიზმის სფეროში საქმიანობისთვის აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს. აცნობიერებს ტურიზმის ეკოლოგიურ, კროსკულტურულ და ტურიზმის ინდუსტრიის საკითხებს.

სტუდენტმა იცის:

ტურიზმის საფუძვლები ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების დონეზე, ტურიზმის არსი, ტურიზმის ეკონომიკური ბუნება. ტურიზმის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფუნქციები; ტურისტული მოთხოვნილებები და მოთხოვნები; ტურიზმის ფორმები, სახეები და ნაირსახეობები; ტურიზმის მომსახურების ფორმები; ტურისტული პროდუქტი; კვებითი და სატრანსპორტო მომსახურების ფორმები.

სტუდენტი ერკვევა:

ტურიზმის სფეროში მარკეტინგის კონცეფციის რეალიზაციის თავისებურებებში; ტურისტული ბაზრის სეგმენტაციის პრინციპებში; ტურისტული პროდუქტის მიზნობრივი ბაზრის შეფასების კრიტერიუმებში; ტურისტული პროდუქტის სპეციფიკასა და სტრუქტურაში

სტუდენტმა გააცნობიერა:

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული დარგის, ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ფაქტორის ადგილისა და როლის მნიშვნელობა; იცის ტურიზმის სფეროში ბიზნეს-გეგმების შედგენისა და განხორციელების თეორიული ასპექტები.

სტუდენტმა შეიძინა ფართო ცოდნა:

ტურიზმის მენეჯმენტის, ტურისტთა განთავსების, კვების და მომსახურების სხვა სახეების მართვის, ტურიზმის მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების შესახებ; იცის ტურისტული საწარმოს საქმიანობის ძირითადი ასპექტები; ერკვევა ტურისტული ფირმის ფუნქციონირების თავისებურებებსა და ტურისტული პროდუქტის მენეჯმენტში.

სტუდენტმა იცის:

რესურსების როლი და მნიშვნელობა საზოგადოების არსებობისთვის და განვითარებისთვის; ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, მათი სახესხვაობები; ტურიზმის გეოგრაფიის ძირითადი საკითხები; ტურიზმის ფორმები და სახეები, რესურსების რაციონალური გამოყენება და განვითარება საქართველოს და მსოფლიოს მაგალითზე; ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განლაგება-განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით; ტურისტული საქმიანობის

ხელშემწყობი და შემაფერხებელი გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების შესახებ; ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული საფუძვლები, კრიზისული სიტუაციები და მისგან გამოწვეული ეკონომიკური შედეგები;

სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორცაა ტურიზმის მდგრადი განვითარების არსი და მიზნები, ტურიზმის სოციალ-ეკონომიკური, სოციო-კულტურული, ეკოლოგიური ასპექტები და მოტივაციური საფუძვლები; მასპინძლობის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპებსა და თავისებურებებში;

სტუდენტმა იცის:

საერთაშორისო და რეგიონულ ტურისტულ ბაზარზე ტურიზმის მნიშვნელოვანი სეგმენტის კულტურული ტურიზმის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; იცის ტურისტული საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქტის - ტურის პროექტირების არსი, მისი მნიშვნელობა ტურისტული ფირმის წარმატებული ფუნქციონირებისათვის; სასტუმრო ბიზნესის განვითარების, სასტუმროთა კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები, სასტუმროს სტრუქტურა; საერთაშორისო ტურიზმის განვითარების გლობალური და რეგიონული ასპექტები, საერთაშორისო ტურიზმის კლასიფიკაცია და საქმიანობის სფერო, საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი თავისებურებები, თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის ფორმები და მეთოდები, საერთაშორისო ტურიზმის დარგობრივი სტრუქტურა, საერთაშორისო ტურისტული კომპანიების ფუნქციონირების მექანიზმები.

სტუდენტმა შეისწავლა ბუნებათსარგებლობის პრინციპები და მახასიათებლები; ეკოლოგიურად მდგრადი გარემოს მნიშვნელობა; ტურიზმის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება - ეკოტურიზმი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

აქვს უნარი:

ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენების პრობლემის გადასაჭრელად; **მონაწილეობა მიიღოს** ტურიზმის ორგანიზაციის მისიის, მიზნების, სტრატეგიული ხედვის, სტრატეგიის შემუშავებასა და ბიუჯეტის დაგეგმვაში ტურიზმის სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისთვის; შეუძლია ტურისტული საქმიანობის პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა; დარგისა და მისი საწარმოების წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემების კლასიფიცირება, დაკავშირება; მსოფლიო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების ტენდენციების შეფასება და დაკავშირება; პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენება, მათი დასაბუთება და დაცვა.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სათანადო მეთოდების გამოყენებით ტურიზმის სფეროში მონაცემების, ინფორმაციის შეგროვება-შეფასება და პრობლემების გადაჭრა; ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა; ტურისტულ საწარმოებში ფინანსური ინფორმაციის

ანალიზი, სინთეზი, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მონაცემების გამოყენება და ბიუჯეტის მომზადება, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა შესაბამისი ინსტრუქციებით; ტურისტული საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების პრაქტიკული გაანგარიშება; ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების განსაზღვრა და შეფასება; ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევის ორგანიზაცია; ტურპროდუქტის პოზიციონირება ბაზარზე; ტურპროდუქტის კონკურენტუნარიანობის შეფასება; ახალი ტურპროდუქტის მარკეტინგული დაგეგმვა;

ტურიზმის ფუნქციონირების სახეებისა და ფორმათა ნაირსახეობების კლასიფიკაცია; ტურიზმის სფეროში მოვლენებისა და პროცესების შეფასება; ტურიზმის მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება.

კურსდამთავრებული ფლობს საკმარის ცოდნას და უნარებს იმისათვის, რომ მართოს პროცესები ტურისტულ ბიზნესში; შეისწავლოს, გააანალიზოს და დაგეგმოს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ლოკალურ დონეზე; შეუძლია ტურიზმის სფეროში კრიზისული სიტუაციების, მოვლენებისა და პროცესების შეფასება; ეკონომიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვა; ერკვევა საბაჟო პროცედურების გავლის საკითხებში.

სტუდენტს ასევე შეუძლია: შეაფასოს ტერიტორია მისი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მიხედვით; განსზღვროს ტერიტორიის განვითარების პერსპექტივები მისი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის მიხედვით; დაგეგმოს ტურები და სხვადასხვა ტურისტული აქტივობები ტურისტულ-რესურსული პოტენციალის და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით; ტურის დაგეგმვა და განხორციელება, იყენებს ტრანსნაციონალური ტუროპერატორული კომპანიების სფეროში მიმდინარე პროცესების ექსპერტული შეფასების მეთოდებს; იყენებს ტურისტულ ბიზნესში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგიების/ხერხების დადგენის მეთოდურ ასპექტებს; **შეუძლია:** მოახდინოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კლასიფიცირება და მათი ეფექტური გამოყენება ტურისტული პროდუქტის ფორმირების პროცესში; კულტურული ტურიზმის თავისებურებების გამოკვეთა და მათი ფორმულირება; აღწეროს და ჩამოაყალიბოს კულტურული ტურიზმის ბაზრის პოტენციალი

დასკვნის უნარი

ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. კერძოდ:

კურსდამთავრებული ტურიზმის თეორიული კონცეფციებისა და პრაქტიკული მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს არგუმენტირებულ დასკვნებს; შეუძლია ტურისტულ საწარმოში სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების შესახებ მოსაზრებების ამსახველი დასკვნების ჩამოყალიბება; შეუძლია ტურიზმის ძირითადი ეკონომიკური და სხვა სტატისტიკური მონაცემების, ანალიზის, ტურისტული საწარმოს საქმიანობის შეფასების, განზოგადების, პრობლემების დიფერენცირებისა და კლასიფიკაციის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების შეიმუშავება.

კურსდამთავრებულს გააჩნია ტურისტულ ბაზართან დაკავშირებული სიტუაციებისა მიმდინარე მოვლენების ანალიზისა და მის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გამოტანის უნარი; პრობლემის კომპლექსური ხედვა; **შეუძლია** ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა, მიმდინარე ტენდენციების განზოგადება, მიზანშეწონილობის დასაბუთება, შეუძლია მიღებული ინფორმაციის გარკვევა-კატეგორიებად დალაგება; **სტუდენტმა გამოიმუშავა** მართვის სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; ტურისტული ბაზრის კვლევისა და მიღებული შედეგების ანალიზის უნარი; **სტუდენტს აქვს** დარგის განვითარების გლობალური ტენდენციების, ქვეყნის განვითარების შესაძლებლობების ანალიზისა და ლოკალური ტერიტორიული ერთეულის (რაიონი) ბაზაზე ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით კვალიფიციური დასკვნების მომზადებისა და პრეზენტირების უნარი. **სტუდენტს შეუძლია** ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენებით რეგიონის განვითარების გეგმის დასახვა; ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ნაირსახეობის ანალიზი და მათი ურთიერთდამოკიდებულების შეფასება პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით; თითოეული რეგიონის რეკრეაციული და ტურისტული პერსპექტივის ანალიზი და შეფასება; ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ანალიზი ტურიზმის ცალკეული ფორმის მიხედვით და ოპტიმალური დასკვნების გამოტანა; შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევის შედეგების სწორად ფორმულირება და სათანადო დასკვნების გამოტანა; ალტერნატიული ტურისტული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება-დაცვა და სხვ.

სტუდენტი ფლობს ეკოტურიზმის ტურისტული პროდუქტის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, გადამუშავების, ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარებს.

სტუდენტს შეუძლია ტურიზმის კლასიფიკაცია (შიდა, საერთაშორისო) აგრეთვე, ტურების (ინდივიდუალური და გეგმიური) ერთმა-ნეთისგან გამიჯვნა/ანალიზი.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით

დარგობრივი უნარები

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიების, პრინციპების, დარგის განვითარების პრობლემებისა და პერსპექტივის ობიექტურ გააზრებას. სტუდენტმა შეიძინა ფართო ცოდნა ფუნდამენტურ და სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებში საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებს მიკრო-დონეზე და კომპლექსური ცოდნა მიკროეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე;

იცის: მაკროეკონომიკური პრინციპები ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის განსაზღვრის თვალსაზრისით; გაეცნო საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებს ეროვნული ეკონომიკის დონეზე;

ბიზნესის არსი, მიზნები, სუბიექტები და სახეები, კონცეფციები; ბიზნესის პრინციპები; ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები; ბიზნესის დაგეგმვის და ორგანიზების თეორიული ასპექტები; ფირმების ეკონომიკური პოლიტიკა;

სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა ორგანიზაციის (სისტემის) მიზანთა განსაზღვრის საკითხებსა და მათი რეალიზაციის სტრატეგიის და ტაქტიკის ფორმირებაში; ფლობს ორგანიზაციის სისტემური პროექტების მეთოდებს;

დაეუფლა მართვის ხელოვნებას და ხელმძღვანელობის ინდივიდუალური სტილის გამომუშავების კვალობაზე ავლენს საკუთარ მენეჯერულ უნარს;

ბაკალავრს გააჩნია ზოგადი ცოდნა ბიზნესის მართვაში მარკეტინგული პრინციპების გამოყენების შესახებ;

იცნობს მარკეტინგში გამოყენებულ ტერმინოლოგიას, მეთოდებს, პრინციპებს, თეორიებს და კონცეფციებს;

სტუდენტმა იცის ადამიანური რესურსების მართვის საკვანძო საკითხები, პრინციპები და მართვის მეთოდები; სტატისტიკური კანონზომიერებები, სტატისტიკური კვლევის მეთოდები და ეტაპები, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის თანამედროვე რაოდენობრივი მეთოდები და მათი სპეციფიკა; ბუღალტრული აღრიცხვის ტერმინოლოგია, გაეცნო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და მარეგულირებელ ორგანოებს, შეისწავლა ბალანსირების პრინციპების გამოყენება; ფინანსური აღრიცხვის ყველა საკვანძო საკითხი; **გაეცნო** ფინანსური ანგარიშგების ყველა ძირითად დოკუმენტს – მოგება-ზარალის ანგარიშგების, ბალანსის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

სტუდენტს შეუძლია:

ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება;

ეკონომიკაში აპრობირებული მეთოდების გამოყენება მიკროეკონომიკური ბაზრების შესწავლის პროცესში; ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება; ეროვნულ ეკონომიკაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული გადაწყვეტა;

ბიზნესის თანამედროვე პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება; ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული გადაწყვეტა.

სტუდენტს შეუძლია დაამუშაოს და დაასაბუთოს სხვადასხვა სამმართველო გადაწყვეტილებანი; გეგმავს მართვის ოპერაციული სისტემის სრულყოფას და შეუძლია განახორციელოს ღონისძიებათა

სოციალური-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება; კრიტიკულად შეაფასოს და გამოიყენოს საზღვარგარეთის მოწინავე საწარმოთა მენეჯმენტის თანამედროვე მიღწევები.

სტუდენტს შეუძლია ორგანიზაციის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიიღოს პერსონალის მოზიდვის სტრატეგიის შემუშავებაში, ადამიანური რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული პრაქტიკული ქმედებების განხორციელებაში, შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრასა და შერჩევის პროცესთან დაკავშირებული სამუშაოების წარმართვაში; სტუდენტს შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროებში, მარკეტინგული საქმიანობა არსებული სტანდარტული და ახალი მეთოდების გამოყენებით;

სტუდენტს აქვს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროებში სტატისტიკური მეთოდების პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები; შეფასებითი მსჯელობებისა და მოვლენათა თვალსაჩინოდ, გრაფიკული გამოსახვისა და კომბინირებული სტატისტიკური ცხრილების გამოყენების გზით სტატისტიკური პროდუქციის, სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის მიწოდების უნარი;

სტუდენტს შეუძლია ბულალტრული აღრიცხვის ზოგადი საკითხების შეფასება, აქვს მათი გადაჭრის ფორმებსა და მეთოდებში ორიენტირების უნარი; ასევე შეუძლია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში ჩართვა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად; **სტუდენტს შეუძლია** ფინანსური აღრიცხვის ზოგადი საკითხების შეფასება, აქვს მათი გადაჭრის ფორმებსა და მეთოდებში ორიენტირების უნარი; შეუძლია საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ყველა ოპერაციის გაფორმება სათანადო დოკუმენტით; **მონაწილეობის მიღება** აქტივებისა და მათი წყაროების ფაქტობრივი ნაშთების აღწერასა და შედარებაში სააღრიცხვო მონაცემებთან; სტუდენტს შეუძლია მათემატიკური მეთოდების პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა ამოცანის ანალიზისთვის.

დასკვნის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. კერძოდ:

სტუდენტს შეუძლია

მიკროეკონომიკური ბაზრებისა და ცალკეული საწარმოების შესახებ მონაცემების შეგროვება და განმარტება; **გააჩნია** ეკონომიკური სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი პრობლემების კვალიფიციური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღება; ძირითად ფაქტორთა ანალიზის საფუძველზე მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება და შეაფასოს რეალური სიტუაცია; ორგანიზაციის ადამიანური რესურსების შეფასების, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის შემუშავების, მომუშავეთა გადამზადების დაგეგმვის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისათვის საჭირო ინფორმაციის სისტემატიზაცია, ანალიზი, შესაბამისი განმარტებების გაკეთება; ბიზნესის მართვაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების საწყის დონეზე ანალიზი მარკეტინგული მეთოდების გამოყენებით; თანამედროვე ბიზნესის მართვის ძირითადი პრობლემების გადაჭრის მიზნით

მარკეტინგის თეორიული კონცეფციებისა და მარკეტინგული კვლევების მონაცემების გამოყენება; ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროებში მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი, შეფასება და დასკვნის ჩამოყალიბება, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული სტატისტიკური მეთოდების გამოყენება; ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის საჭირო ყველა ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი, შესაბამისი განმარტებების გაკეთება, მომზადება. აქვს აღრიცხვის პრობლემების ანალიზისა და სინთეზის უნარი; საწარმოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსების, მისი სტრუქტურის, საწარმოს ფინანსური და სამეუნეო საქმიანობის შეფასება, ფინანსური ანგარიშგების მომზადება საჭირო ინფორმაციის ანალიზი, შესაბამისი განმარტებების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და ერთ-ერთ უცხო ენაზე (ინგლისური, რუსული ან გერმანული B 2 დონეზე), იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; შეუძლია პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა, ანგარიშის დაწერა, საქმიანი დოკუმენტის შედგენა ტურიზმის სფეროს ტერმინოლოგიის გამოყენებით; კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; შეუძლია მონაწილეობა დისკუსიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან; შეუძლია საბაკალავრო ნაშრომის მომზადება; შეუძლია კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა /პრეზენტაცია, დაეუფლა აკადემიური წერის კულტურას.

ადასტურებს უცხო ენის (ინგლისური, რუსული ან გერმანული) ფლობის ზოგადევროპული ჩარჩოს თანახმად B2 დონეზე ენის ფლობას, იცის კომუნიკაციის წარმართვა ტურიზმის სფეროში ამა თუ იმ საკითხზე; აცნობიერებს უცხო ენაზე მეტყველების თავისებურებების პრინციპებს, ტურიზმის სფეროს ტერმინოლოგიას და აკმაყოფილებს 4-ვე სამეტყველო კომპეტენციისადმი (აუდირება, კითხვა, წერა, საუბარი) წაყენებულ მოთხოვნებს.

სწავლის უნარი

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ტურიზმის დარგის საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; კერძოდ:

სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი; საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა; შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა; ტურიზმის სფეროში ლიტერატურასთან, წყაროებთან და ინტერნეტ რესურსებთან მუშაობა კარიერული ზრდის

უზრუნველყოფის მიზნით. რეგულარულად ანახლებს ცოდნას დარგობრივი ლიტერატურის კითხვით. შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად.

ღირებულებები

ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კერძოდ,

პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისათვის გაზიარება. გააჩნია: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე; პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებული ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კულტურათაშორისი შემწყნარებლობის პასუხისმგებლობას ორგანიზაციასა და საზოგადოებაში;

აცნობიერებს ტურიზმის როლს მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებთან მიმართებაში. პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება/კრიტიკა; სამართლებრივ, ეთიკურ და კულტურულ პასუხისმგებლობას ტურისტულ ორგანიზაციაში და საზოგადოებაში; აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის, მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს; მიღებული ცოდნის საფუძველზე გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

შეუძლია ინიციატივის გამოჩენა ტურიზმის სფეროში და გაცნობიერებული აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკური ნორმები; ტურიზმის ბაზრის შესწავლისა და შესაბამისი პროგნოზის გაკეთების პროცესში პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

- პროფესიულ საქმიანობაში მოქმედებს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვითა და პატივისცემით. გათავისებული აქვს მულტიკულტურული ღირებულებები, იცავს და ხელს უწყობს მათ დამკვიდრებას.
- სტუდენტს გამოუმუშავდა ცივილიზებული დამოკიდებულება როგორც საკუთარი ქვეყნის, ასევე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და ეკოსივრცისადმი, პროფესიული მოვალეობებისა და საქმიანი პარტნიორებისადმი.
- მონაწილეობს ტურიზმის სფეროში ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ტურიზმის პროგრამის ფარგლებში გამოიყენება როგორც უნივერსალური და აპრობირებული სწავლების მეთოდები, ისე სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ტურიზმის მიმართულებით და მათი დახმარებით სტუდენტს უმუშავდება ამ სფეროსათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები, კერძოდ:

ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

ლექცია-დისკუსია ნიშნავს ლექტორის მიერ გადმოცემული ახალი თემის ახსნის პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართულობას დისკუსიის სახით სალექციო თემის განმტკიცების მიზნით.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის მეშვეობით სტუდენტს უნდა აღედრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად

შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

საწარმოო პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები.

სწავლებისას გამოიყენება ისეთი აქტიური მეთოდები, როგორცაა:

- **ვერბალური და წერიტი მუშაობის მეთოდები;**
- **წიგნის დამუშავების მეთოდი;**
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უწვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს (მაგალითად, კაზუსს), რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
 - ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
 - გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, კერძოდ: **წიგნზე მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს ნაშრომის თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიებას, მომზადებას, მათ დაჯგუფებას, სისტემატიზირებას და დამუშავებას;
- **პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელდება ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.
- **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
- **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
- **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.
- **ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის მიმართულებით აქტიურ მეთოდებს შორის გამოიყოფა:**
- **პრაქტიკული სავარჯიშოები (experiential exercises)**, რომლის შესრულების პროცესში სტუდენტი ახდენს თავისი მოქმედების მოდელირებას ბიზნესის მართვის სხვადასხვა ასპექტებში.
- **კონკრეტული ბიზნეს-სიტუაციების ანალიზი (case method)** როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში (6-8 ადამიანი), მათი გარჩევის დროს სტუდენტი სწავლობს არა მარტო პრობლემის ფორმულირებასა და გადაწყვეტილების მიღებას, არამედ გამოიმუშავებს მნიშვნელოვან უნარებს პირობებათაშორისი კომუნიკაციის, ჯგუფური მუშაობისა და ლიდერობის კუთხით.
- **მცირე ჯგუფებში მუშაობა (team work)**, როდესაც სტუდენტი ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, არჩევს კონკრეტულ ბიზნეს-სიტუაციებს, ამზადებენ ჯგუფურ პროექტებს და მონაწილეობენ საქმიან თამაშებში; ასეთი სახის სამუშაო უზურნველყოფს როლური ქცევის ათვისებას, სასწავლის ეფექტურ კომუნიკაციას, გამოცდილების გაზიარებას, ანვითარებს ლიდერის თვისებებს.
- **საქმანი თამაშები (business game)** ატარებენ კომპლექსურ ხასიათს და ტარდება უცხოური პრაქტიკის გაზიარებით, რაც ხელს უწყობს შესასწავლი სპეციალური საგნების სიღრმისეულ აღქმასა და ეფექტურ განმტკიცებას/ათვისებას.

პროექტის შემუშავება -პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა.

ბ)ინგლისური, გერმანული ან რუსული ენის სწავლებისას ხდება **უცხო ენის სწავლების აპრობირებული და ეფექტური მეთოდების** გამოყენება:

- **გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (The Grammar Translation Method)**, რომლის მთავარი მიზანია წერითი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.
- **აუდიოლინგვისტური მეთოდი (Audio-lingual method)**-რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტები ისმენენ და იმეორებენ მასწავლებლის მიერ არაერთხელ განმეორებულ ჩანაწერებს.

- **სიტუაციური სწავლება**-ზეპირი მიდგომა (Situational language teaching (Oral Approach). სტუდენტი განმეორების გზით იმახსოვრებს ყველაზე გამოყენებად სიტყვებს და ენობრივ კონსტრუქციებს, აქვე ხდება მათი გამოყენება პრაქტიკაში. ძირითადი იდეები: ზეპირი მეტყველება დომინირებს წერით მეტყველებაზე, შეცდომების თავიდან აცილება ხდება თავიდანვე, ანალოგიების გამოყენება, სიტყვები იძენენ აზრობრივ დატვირთვას მხოლოდ კონტექსტში.
- **აუდიო-ვიზუალური მეთოდი**-გამოიყენება მხოლოდ უცხო ენა. ლექცია/პრაქტიკულ მეცადონებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამახვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე.
- **სწავლა სწავლებით** (Learning by teaching (LdL) — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება კოორდინატორად, ნაკლებად მასწავლებლად. სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 სასწავლო წელიწადია, 8 სემესტრი. პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს 240 ECTS და ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში (1 კრედიტი უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც მოიაზრება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები). ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს 2 შუალედურ გამოცდას, რომელიც ტარდება მე-7 და მე-14 კვირას. ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კვირების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 42 კვირას, 1 სემესტრის განმავლობაში - **21 კვირას**, რომელშიც მოიაზრება **15 სასწავლო კვირა** (სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების პერიოდი) და **6 კვირა** საგამოცდო: **VII-XIV კვირა** - შუალედური გამოცდების კვირეული, **XVIII-XXI** - დასკვნითი და დამატებითი გამოცდების კვირეული. სტუდენტის კვირეული დატვირთვა შეადგენს **45 საათს**. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის შუალედური და დასკვნითი გამოცდების კვირეული განსხვავდება. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 საათი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის ბრძანება №07/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) თანახმად, ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, სტუდენტის წლიური დატვირთვა შეიძლება აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა, ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებზე იყოფა:

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელშიც მოიაზრება მრავალკომპონენტური შეფასება:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში-**30 ქულა**;

ორი შუალედური გამოცდა-15-15 ქულა;

ხოლო დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას.

შუალედური შეფასებების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.

დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის 50%-ს ანუ 20 ქულას 40 ქულიდან.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

1. ერთ-ერთი უარყოფით შეფასების: (FX) ვერ ჩააბარა -ს მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღეში და აისახება საგამოცდო ცხრილში.
2. დამატებით გამოცდაზე მეტეული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
3. თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.

➤ შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები/აქტივობები მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად და ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

- საბაკალავრო კვლევითი ნაშრომის და პრაქტიკის შესრულებისა და შეფასების კომპონენტები ასახულია „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შეფასების სისტემის ნორმატიულ დოკუმენტში (იხ.დანართები).

დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების საშუალება

ტურიზმის ბაკალავრის ხარისხის მქონეებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ტურისტულ საწარმოსა ან ორგანიზაციაში სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელად - ტუროპერატორის, ტურისტულ სააგენტოს, სასტუმროს ადმინისტრაციაში, აგრეთვე ვიზიტორთა ბიუროს მენეჯერის, საჯარო სექტორისა და ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციებში და სხვა ფუნქციონალურ სფეროებში შემდეგ პოზიციებზე: ტურიზმისა და სასტუმროს მენეჯმენტის ტრენერი, ავიაბილეთების ოპერატორი, შემომყვანი ტურ-ოპერატორი, გამყვანი ტურების ტურ ოპერატორი, ტურ აგენტი, ტურ მენეჯერი, გაყიდვების ოპერატორი და სხვ.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში ბუნების ტურიზმისა და დაცული ტერიტორიების; ეკოლოგიური ტურიზმის; კულტურული ტურიზმის; სამკურნალო ტურიზმის და საკურორტო საქმიანობის; რეკრეაციული ტურიზმის; აგროტურიზმის სპეციალობით ან ნებისმიერი სხვა სპეციალობით ბაკალავრის სურვილით.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის ტურიზმში მისანიჭებლად საჭიროა **240 ECTS კრედიტი** ნაწილდება შემდეგნაირად:

- **30 (ECTS) კრედიტი** - საუნივერსიტეტო საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები;
- **12 (ECTS) კრედიტი**-სპეციალობის დამხმარე სავალდებულო ისტორიულ-კულტურული მიმართულების სასწავლო კურსები
- **158 (ECTS) კრედიტის** ფარგლებში ხდება სტუდენტის მიერ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების არჩევა ტურიზმისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. აქედან, ტურიზმის მიმართულების სავალდებულო ბლოკის **ECTS კრედიტების** საერთო რაოდენობა შეადგენს **95 ECTS** კრედიტს, მათ შორის **10-10 ECTS კრედიტი** ეთმობა საბაკალავრო კვლევით ნაშრომსა და საწარმოო პრაქტიკას.
63 ECTS კრედიტი-ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სავალდებულო ბლოკი.
- **25 (ECTS) კრედიტის** ფარგლებში ხდება სტუდენტის მიერ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ტურიზმისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, პროგრამაში ასევე არჩევით საგნებად შეთავაზებულია დამხმარე სავალდებულო ისტორიულ-კულტურული მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები.
- **15 (ECTS) კრედიტი** – თავისუფალი კრედიტები (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან წინაპირობების გათვალისწინებით).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასი, სააუდიტორიო ფონდი ვიდეო-ლექციების უზრუნველყოფით და სხვა რესურსები), რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის პრაქტიკულ, თეორიულ და ინტერდისციპლინარულ მომზადებას. ტურიზმის პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული/ელექტრონული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა უზრუნველყოფილია (EBSCOHost (<http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები). ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ლინკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/>.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციო მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასაკმაყოფილებლად.

პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CV) თან ერთვის პროგრამას და მისი განყოფილი ნაწილია (იხ.დანართები).

საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით და სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს ხელშეწყობები და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ ორგანიზაციებთან:

- 1) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი“ „Travel Gis“. ვებ-გვერდი: www.travelgis.ge
- 2) ტურისტული კომპანია „აღმოაჩინე საქართველო“ ვებ.გვერდი: <http://www.discovergeorgia.ge/>